

„გამტკიცებ“

საქართველოს ძიუდოს ეროვნული
ფედერაცია



21 მაისი 2024 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ჩემპიონატი 2004-2006 წლებში დაბადებულ გოგონათა
შორის

თბილისი

2023

8 ივნისი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია გოგონებში;
- საქართველოს გოგონათა ახალგაზრდული ნაკრების დაკომპლექტება.

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი – საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაზე დაიშვებიან 2004-2006 წლებში დაბადებული გოგონები. **სხვა წლებში დაბადებული ძიუდოისტები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან.**
- მონაწილეები ვალდებული არიან აწონვის დროს წარმოადგინონ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი ორიგინალი საბუთი – პირადობის მოწმობა, ან პასპორტი.

IV. შეჯიბრების პირობები, კენჭისყრა, ადგილი, დრო, რეგისტრაცია

- შეჯიბრება ჩატარდება თბილისში, ძიუდოს აკადემიაში, ბელიაშვილის 38.
- კენჭისყრა ჩატარდება 7 ივნისს აწონვის შემდეგ. ჩამოსვლის დღე – 7 ივნისი, წასვლის დღე – 9 ივნისი.
- შეჯიბრების დასაწყისი – 10:00.

რეგისტრაცია:

- ძიუდოისტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან (<http://gjf.ge/geo/calendar/georgia>) სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით. კოდი - 1234
- შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის სპორტსმენები, რომელთა პირადი მწვრთნელებიც 2024 წლის 4 ივნისამდე ელექტრონულად შეავსებენ სარეგისტრაციო ფორმას.
- 5 ივნისს ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდება მონაწილეთა სია. მწვრთნელები ვალდებული არიან გადაამოწმონ საკუთარი ძიუდოისტები და უზუსტობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება გოგონათა შორის 8 წონით კატეგორიაში: -48კგ; -52კგ; -57კგ; -63კგ; -70კგ; -78კგ, +78კგ;

აწონვა

თბილისი, ძიუდოს აკადემია, ბელიაშვილის 38.

7 ივნისი

არაოფიციალური 17:30-18:00.

ოფიციალური 18:00-18:30.

VI. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (ღამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებული ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი, მედპერსონალის ხელფასი, დაცვის მომსახურება და სხვა) უზრუნველყოფს ორგანიზატორი მხარე საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: +9952516466;

საკონტაქტო პირი:

კახა მოცრაძე 593323295

გიორგი გვიჩიანი 599885683

ზურაბ უსუფაშვილი 577994407

P.S.

- **შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის სავალდებულოა ლურჯი და თეთრი ფერის კიბანოს ქონა.**
- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- სპორტსმენთათვის დასაშვებია 500 გრამი ზედმეტი წონა. აწონვა მოხდება მოკლე შარგლითა და მაისურით. წარმომადგენლებს მიეცეთ აწონვაზე დასწრების უფლება.

ფედერაციის პრეზიდენტი



გიორგი ათაბეგაშვილი